ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13. 13233342**

თარიღი:**30/11/2023**

„ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის

დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად

1. შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის № 51 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართს დაემატოს დანართის სახით წარმოდგენილი შემდეგი რედაქციის 45-52-ე პუნქტები.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ.N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

№	ობიექტის დასახელება	მდებარეობა	საწყისი საპრივატიზებო საფასური	აუქციონის ფორმა (პირობიანი, უპირობო)	აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შეძენილი ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა	შენიშვნა
45	სპეციალიზებული IVECO 49E10, სახელმწიფო ნომრით QV-372-VQ, სატ. საშ. სარეგისტრაციო (შასის) ZCFC4970002955974, გამოშვების წელი 1991, ფერი ლურჯი 5/8	ქალაქ ახალციხეში, კოსტავას ქ. N18	2,640 (ორი ათას ექვსას ორმოცი) ლარი	ელექტრონული აუქციონი უპირობო ფორმით	გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში	
46	ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მატერიალური ფასეულობები, კერძოდ 131 ცალი კვების წყარო.	ქალაქ ახალციხეში, კოსტავას ქ. N18	262 (ორას სამოცდაორი) ლარი	ელექტრონული აუქციონი უპირობო ფორმით	გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში	
47	ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მატერიალური ფასეულობები, კერძოდ: 105 ერთეული რკინის საწოლი ბავშვის.	ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ვალე, 9 აპრილის ქუჩა (რიტუალების სახლი)	981,75 (ცხრაას ოთხმოცდაერთი და 75 თეთრი) ლარი	ელექტრონული აუქციონი უპირობო ფორმით	გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში	
48	ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მატერიალური ფასეულობები, კერძოდ: 4 ერთეული ტანსაცმლის საკიდი (რკინის).	ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ვალე, 9 აპრილის ქუჩა (რიტუალების სახლი)	13,09 (ცამეტი და 09 თეთრი) ლარი	ელექტრონული აუქციონი უპირობო ფორმით	გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში	
49	ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მატერიალური ფასეულობები, კერძოდ: 4 ერთეული პიანინო (როსტოვ დონ, საიუბილეო, კრასნი ოქტაბრია, ნოქტიუნი).	ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ვალე, 9 აპრილის ქუჩა (რიტუალების სახლი)	600 (ექვსასი) ლარი	ელექტრონული აუქციონი უპირობო ფორმით	გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში	
50	ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მატერიალური ფასეულობები, კერძოდ: 116 ერთეული ლეიბი (ბამბის) და 89 ერთეული საბანი (ბამბის).	ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ვალე, 9 აპრილის ქუჩა (რიტუალების სახლი)	102,50 (ას ორი და 50 თეთრი) ლარი	ელექტრონული აუქციონი უპირობო ფორმით	გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში	
51	ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7 ერთეული მატერიალური ფასეულობები სატრანსპორტო საშუალებების სახით, კერძოდ: 1. თვითმცლელი GAZ 53-14 2. თვითმცლელი GAZ 53-02 3.GAZ 53-14	ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ახალციხე, სანაპიროს ქუჩის მიმდებარედ	4 862,00 (ოთხი ათას რვაას სამოცდაორი) ლარი	ელექტრონული აუქციონი უპირობო ფორმით	გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში	

	4.სატვირთო GAZ 48321 5.HYUNDAI HD 75 6. ZIL 433100 7. სპეციალიზებული SAZ 3507					
52	ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება, კერძოდ: ISUZU Rodeo, სახელმწიფო ნომრით VV-880-VX	ქალაქი ახალციხე, კოსტავას ქუჩა N18	4 840,00 (ოთხი ათას რვაას ორმოცი) ლარი	ელექტრონული აუქციონი უპირობო ფორმით	გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში	